
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
58718021008821

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N211034705

რეგისტრაციის თარიღი

20.09.2021 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის ოც სექტემბერს მე - ნოტარიუს ია ყიფიანის, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში მომმართა: ბატონმა **გიორგი მედულაშვილმა** (დაბ. 07.11.1963 წელს, პირადი # 01018000196, რეგისტრირებული თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 8 ბ. 9).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს ,,**აქვა-ტერრა**" (ს/ნ: 206118510) შესახებ, მომზადების თარიღი 09/03/2021 13:10:08 წელს, რეგისტრაციის # B21020649 და განაცხადა, რომ როგორც ამ საზოგადოების დირექტორსა და წარმომადგენლობით უფლებამოსილ პირს, სურს შეადგინოს მინდობილობა რითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ **ნიკა ჭუმბურიძეს** (დაბ.01.12.1989 წ. პ/ნ: 01018003942, რეგისტრირებული თბილისი მიხეილ ზანდუკელის ქ. N 15).

მისი პირადობა დადგენილია. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაერთი წლის ოც სექტემბერს, ბატონმა **გიორგი მედულაშვილმა** (დაბ. 07.11.1963 წელს, პირადი # 01018000196, რეგისტრირებული თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 8 ბ. 9), როგორც შპს ,,**აქვა-ტერრა**" (ს/ნ: 206118510) დირექტორმა-შემდეგში „მიმნდობი პირი" სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **ნიკა ჭუმბურიძეს** (დაბ.01.12.1989 წ. პ/ნ: 01018003942, რეგისტრირებული თბილისი მიხეილ ზანდუკელის ქ. N 15)-შემდეგში „მინდობილი პირი", იყოს შპს ,,აქვა-ტერრა" (ს/ნ: 206118510) დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენლები შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად:

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია საზოგადოების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, გლდანის I მიკრო/რაიონი, ქ.თბილისი, გლდანის I მიკრო/რაიონი, სკოლა # 39-ის მიმდებარედ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.11.12.006.031 დაკავშირებით, იყოს წარმომადგენელი ყველა საჯარო ინსტანციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მერიაში, გამგეობაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, თვითმმართველობის ორგანოებში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ საამზომველო ბიუროში, თელმიკოში, ენერგო პრო ჯორჯიაში, სოკარ გაზის და თბილისი ენერჯის, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის, წყლის, გაზის, ელექტროენერგიის გამანაწილებელ/მიმწოდებელ კომპანიებში, დასუფთავების სამსახურში, აიღოს მშენებლობის ნებართვა, წარადგინოს სამშენებლო პროექტები, აწარმოოს ნებისმიერი სახის სარემონტო, სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მოახდინოს ფართის დაზუსტება, კორექტირება, აზომვითი ნახაზის მომზადება, მოახდინოს საზოგადოების აბონენტად რეგისტრაცია, ამასთან დაკავშირებით წარადგინოს, ჩააბაროს, მიიღოს, გამოითხოვოს, ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, ინფორმაცია, ცნობა, ამონაწერი, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეასწოროს დოკუმენტაცია, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, შეთანხმებას, ხელშეკრულებას,

განცხადებას, ხელი მოაწეროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის დოკუმენტებს, საზოგადოების სახელით წარადგინოს განცხადებები ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის ნებართვების მოპოვებასთან დაკავშირებით, მიიღოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის მოქმედების ვადით.

მინდობილობა ხელშეკრულება ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება # 507 29.12.2011წ. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31- 10 ლარი, 2 ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ მუხლი 39 პ.1) და დღგ-1,80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 166 -ე მუხლის თანახმად, სულ 13,80 ლარი

შპს ,,აქვა-ტერრა''-ს
დირექტორი გიორგი მედულაშვილი ----------

ნოტარიუსი ია ყიფიანი